სახანძრო სიგნალიზაცია

საქვაბეში დამონტაჟდეს ავტომატური, ხანძრისგან დამცავი სასიგნალო სისტემა, რომელის მთავარი პულტი დამონტაჟებული იქნება I სართულზე (იხილე გეგმა).

პროექტით გათვალისწინებულია სამისამასრთო სახანძრო სიგნალიზაცის სისტემა, რომლის ქსელი ორგანიზებულია წრიული ტოპოლოგიით.

სასიგნალო პულტს უნდა შეეძლოს:

- განსაზღვროს ხანძრის ზუსტი ადგილი სამისამართო დეტექტორების საშუალებით.
- დააფიქსიროს ინფორმაცია დისპეტჩერის ან სასიგნალო ინდიკაცის საშუალებით, ინფორმაციის პრინტერზე ამობეჭდვით..
- განსაზღვროს დეტექტორის ან ქსელის დაზიანება, მოკლე ჩართვაზე, წრედის
განრთვაზე და მოახდინოს შეტყობინება.
- უზრუნველყოფილი იყოს ავტონომიური კვებით, მინიმუმ 24 საათი.
- ჩართოს ხმოვანი და ვიზუალური სიგნალი.

ავტომატური ხანძრის დეტექტორები

ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს სამისამართო კვამლის ოპტიკური დეტექტორი, თბური და ხელის დეტექტორები, რომლებსაც გააჩნია სტანდარტული უნივერსალური ძირი.

შაქვაბის შესასვლელში დაყენდეს ხელის მაუწყებელი.

მონტაჟი

სახანრო სიგნალიზაციის საკაბელო ქსელის ასაგებად გამოიყენება **JYSTY 2X2X0,8** ტიპის კაბელი, რომლის გაყვანილობა ხორციელდება შეკიდულ ჭერში. კაბელის დამაგრება ხორციელდება სამონტაჟო სკობის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ კაბელის გაყვანა ხორციელდება ფარულად (ნალესის ქვეშ) მიზანშეწონილია მისი ჩადება გოფრირებულ მილში. აბელის გაყვანა შენობის გარეთ მიწის ქვეშ გოფრირებულ მილში.
თბური, კვამლის და გაზის გაჟონვის დეტექტორი მონტაჟდება საქვაბის ჭერში.
თბური, კვამლის, კომბინირებული, გაზის გაჟონვის და ხელის მაუწყებლები უნდა იყოს სამისამართო ტიპის. დამონტაჟებული სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ნორმებს.

შემოწმება და ჩაბარება

სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდება ნორმალურ და ავარიულ რეჟიმში სისტემის ტესტირება ფუნქციონირებაზე. ტესტების შედეგები დოკუმენტად გაფორმდება სათანადო აქტებით და თან დაერთვება მომხმარებლისათვის გადასცემ დოკუმენტაციებს. აგრეთვე ტექნიკური პერსონალისთვის უნდა ჩატარდეს ტრეინინგ პროგრამა და შემუშავდეს ინსტრუქციები სისტემების ექსპლუატაციისათვის.

შესაძლებელია გამოყენებული იქნას ალტერნატიული სისტემა რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს

სუსტი დენები. მასალათა უწყისი

N	პირ. აღნ.	დასახელება	მახასიათებელი	ერთეული	რაოდენობა	შენიშვნა
		სახანძრო სიგნალიზაცია				
1		სამისამართო სისტემის მართვის ბლოკი	მიმდებ-საკონტროლო მოწყობილობით, 1 წრიულ მარყუჟზე.	კომპ.	1	
2		კვების ბლოკი	აკუმულატორით 75 ამპერი	კომპ.	1	
3		სახარძრო დეტექტორი (კვამლის)		ცალი	1	
4		სახარძრო დეტექტორი (სითბური)		ცალი	1	
5		გაზის გაჟონვის დეტექტორი		ცალი	1	
6		ხმოვანი სიგნალი (სირენა)		ცალი	1	
7		სასიგნალო ღილაკი		ცალი	1	
8		სამაგრი დეტალები და კრონშტეინები		კგ	2.1	
9		კაბელი	JYSTY 2x2x0.8 (სახანძრო)	გრძ.მ	85	
10		გოფრირებული გარსაცმის მილი	პვხ 20 მმ	გრძ.მ	85	
11		საკომუნიკაციო კარადა (რეკი) საერთო სუსტი დენების ქსელისათვის		კომპ.	1	

	გათუმბი 2019 წ.		ფორმატი -3
	დაკვეთა		

ექსპლიკაცია

პიროგბითი ნიშნები

შენიშვნა

პროექტის სახელწოდება

შპს. "ვეგა+"

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ლ. იმედაძე		
არქიტექტორი	ბ. გიგინეიშვილი		
დაამუშავა	ლ. იმედაძე		
მაშტაბი			
თარიღი			
სტადია		ფურცელი	ფურცლები
მუშა ნახაზი			გ.ვ.-11